პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТБ КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 86 (11090) | შაბათი, 12 აპრილი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება (1-ლი გვერდი).

საქართველოს სს რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის 1958 წლის I კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა (1-ლი გვერდი).

ქართული დემოკრატიული პრესის ისტორიიდან. — **ა. კოკვიძე.** — გაზეთი „ქვალი“ (მე-2 გვერდი).

ა. ხუჭუა. — საპონინი ჩაის თესლისაგან (მე-2 გვერდი).

მახარაძელთა თაოსნობის პასუხად. — **გ. ჩიქვინიძე, ა. ხუნდაძე.** — კულტურული, შეძლებული ცხოვრებისათვის (მე-2 გვერდი).

პრესის მიმოხილვა. — **ირაკლი ბაბალიანი.** — ჟურნალისტ-ფელეტონისტ-ფეიერვერკ-ფანტაზიორ-ბალეტმეისტერ-ბალერინ-ბალერინ-ბალერინ

ᲡᲐᲞᲝᲜᲘᲜᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲗᲔᲡᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ

კოლმეურნეები დიდი მზრუნველობით უვლიან ჩაის ბუჩქებს, იბრძვიან მოსავლიანობის გადიდებისათვის, რაც დოვლათით ავსებს კოლმეურნეთა ოჯახებს; მაგრამ ის კი არ იცოდნენ, თუ რა ფართო გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს ჩაის თესლს, რა დიდი სარგებლობის მიღება შეიძლება მისგან. ამიტომ იყო, რომ ყოველწლიურად ასობით ტონა ჩაის თესლი ფუჭად იკარგებოდა, უმნიშვნელო ნაწილს თუ შეაგროვებდნენ სათესლედ, სხვა მხრივ მას უსარგებლოდ თვლიდნენ. თურმე ჩაის თესლი არანაკლებ ძვირფასი ყოფილა, ვიდრე ფოთოლი.

ვ. გოგუაძემ ჯერ კიდევ 1949 წელს შეიმუშავა ჩაის თესლისაგან მეტად ძვირფასი, დეფიციტური ნივთიერების — საპონინის მიღების მარტივი, რაციონალური მეთოდი, რომელიც შემდეგში კიდევ უფრო სრულყო ინჟინერ ლ. თოფაძესთან შემოქმედებითი თანამეგობრობით. ამ მეთოდით საპონინის მიღება შეიძლება როგორც ჩაის თესლისაგან, ისე ყოველგვარი მცენარეული ნედლეულისაგან.

საპონინი მრავალმხრივ შეიძლება გამოვიყენოთ. საპონინის წყლიან ხსნარში საუცხოოდ ირეცხება დალაქავებული, დაჭუჭყიანებული ქსოვილი, იგი იხმარება საპონის მაგივრად, ამასთან საპონინის წყლიან ხსნარში გარეცხილი ქსოვილი კარგად იღებება. საპონინი შეიძლება გამოყენებულ იქნას მაღნის გასამდიდრებლად, სხმული კერამიკული ნაწარმის მისაღებად, წყლის გარემოში რეზინისა და კაუჩუკის უმცირესი ნაწილაკების ასაწონად, საბურავების წარმოებაში, ჰალვისა და უალკოჰოლო ქაფიანი სასმელების დასამზადებლად. მისი გამოყენება შეიძლება ზოგიერთი წამლის შემადგენელ ნაწილადაც.

საპონინის დამზადება ვ. გოგუაძისა და ლ. თოფაძის მეთოდით იაფი ჯდება, რაც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მისი ფართოდ გამოყენების შესანიშნავი პირობაა. ქართველ მეცნიერთა მეთოდით მიღებული საპონინი გამოსცადეს საბურავების წარმოებაში. საპონინის ხსნარში ამოვლებული საბურავის კორდი დიდ გამძლეობას და ელასტიკურობას იძენს. ასე დამზადებული საბურავის გამძლეობა 5 პროცენტით მატულობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი 20 საბურავიდან სახელმწიფო მოიგებს ერთი საბურავის ღირებულებას. ქართველ მეცნიერთა მეთოდით საპონინის მიღების შედეგად ჩვენს სამშობლოს ყოველწლიურად დაეზოგება მილიონობით მანეთი.

პროფესორ ვ. გოგუაძისა და ლ. თოფაძის მეთოდით ჩაის თესლის დამუშავების დროს ჯერ მიიღება ზეთი, ხოლო დარჩენილი მასიდან — საპონინი.

ჩაის ზეთის ტექნოლოგიის საკითხებზე ინჟინერი ლ. თოფაძე ჯერ კიდევ 1931 წლიდან მუშაობდა. ჩაის ზეთსაც ბევრი კარგი თვისება აქვს. მისი გამოყენება შეიძლება ზუსტ და მცირე მოცულობის ხელსაწყოთა დასაზეთავად, თმის გასამაგრებლად, კანის საკვებად.

წელს ჩვენს რესპუბლიკაში უნდა მოიკრიფოს 250 ტონამდე ჩაის თესლი. ოჩხამურის ტუნგოს ზეთსახდელ ქარხანაში შეიქმნება სპეციალური საამქრო, რომელიც ამ ნედლეულიდან მიიღებს ჩაის ზეთსა და საპონინს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში შეიძლება მოიკრიფოს 2.000 ტონაზე მეტი ჩაის თესლი, ნათლად წარმოვიდგენთ ქართველ მეცნიერთა შემოქმედებითი შრომის ნაყოფს.

Ა. ᲮᲣᲜᲯᲣᲐ.

სურათზე: პროფესორი ვალერიან თოფაძე ჩაის თესლიდან საპონინის მიღების საქარხნო ცდებს ატარებენ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.



გულრიფშის რაიონი. ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა კულტურის სახლის ორსართულიანი შენობა, რომელსაც აქვს მაყურებელთა დარბაზი 300 კაცისათვის, ბიბლიოთეკა, წრეების სამუშაო და დასვენების ოთახები.

სურათზე: ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ახალი კულტურის სახლი.

ფოტო ნ. ჯომიდავასი (საქდესის ფოტოქრონიკა).

მახარაძეთა თაოსნობის პასუხად

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

თელავის რაიონის მშრომელები თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში, კოლმეურნეები კულტურულად და შრომებულად ცხოვრობენ. რაიონის სოფლებში მტკიცედ დამკვიდრდა თეატრი, კინო, რადიო. სოფლის მშრომელები ყოველდღიურად სარგებლობენ კლუბების, კულტურის სახლების, ბიბლიოთეკებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მომსახურებით.

რაიონში ფართო მასშტაბით მიმდინარეობს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ქალაქის კეთილმოწყობაზე 4 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა, დაიგო 15.000 კვადრატული მეტრი ასფალტი, გაშენდა ორი ბაღი. სკვერი. გასულ წელს თელავში საექსპლოატაციოდ გადაეცა საზამთრო და საზაფხულო კინოთეატრები.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული აგრეთვე რაიონის სოფლების კეთილმოწყობის საქმეში. აშენდა კოლმეურნეობათა 20 კინტორა, 14 საკოლმეურნეო კლუბი, 20 სკოლა, 12 ამბანო, 9 ელექტროწისქვილი. მრავალმა კოლმეურნემ აიშენა ორსართულიანი სახლი. საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გაძლიერების შედეგად აუცილებელი გახდა საშენი მასალების წარმოების გაფართოება. უკანასკნელი წლების მანძილზე რაიონში საექსპლოატაციოდ გადაეცა 28 ხე-ტყის სახერხი, 10 აგურის, 23 კირის და 10 კრამიტის ქარხანა. განხორციელდა ათობით სოფლის ელექტროფიკაცია და რადიოფიკაცია.

მაგრამ არსებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებენ რაიონის მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს. ამიტომ იყო, რომ თელაველი მშრომელები მხურვალედ გამოეხმაურნენ მახარაძელთა მოწოდებას სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გაფართოების შესახებ.

თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს სესიაზე დაამტკიცეს რაიონის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით 1958-1960 წლებში რაიონში აშენდება 12 სასკოლო შენობა, 5 საავადმყოფო, 14 კულტურის სახლი, 2 შენობა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატისათვის, 9 საკოლმეურნეო ამბანო, პარკეტის ფაბრიკა, 2.200 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლი ძაფსახვევი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისათვის, ახალი საკოლმეურნეო ბაზარი, სტადიონი, სასპორტო მოედანი, გაუმჯობესდება მოსახლეობის მომარაგება წყლით, მწყობრში ჩადგება 80 კილომეტრი სიგრძის წყალსადენი. გეგმაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მინდვრად კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობას იქ მომუშავე კოლმეურნეების მომსახურებისათვის. მინდვრად აშენდება ბინები, მოეწყობა ესტრადები, სასპორტო სასპარეზოები.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენების მაღალ დონეზე მოწყობის მიზნით აშენდება 20 პავილიონი. მომავალი სამი წლის განმავლობაში რაიონის მშრომელთა განკარგულებაში გადაეცემა 14 სამაგვმო ბაღი, სამშობიარო სახლი, საექიმო პუნქტები, ბიბლიოთეკები. ფიზკულტურელები მიიღებენ 12 მოედანს, 2 სასპორტო დარბაზს. დიდი ყურადღება მიექცევა სოფლების ელექტროფიცირებასა და რადიოფიცირებას. გაფართოვდება ინდივიდუალური ბინათმშენებლობა, რაზეც კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა დანაზოგებიდან დაიხარჯება 52 მილიონ 380 ათასი მანეთი.

1958-1960 წლებში თელავის რაიონში კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაზე დაიხარჯება 124 მილიონი მანეთი, აქედან კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდიდან 26,5 მილიონი მანეთი.

მშენებლობის ასეთი მასშტაბით გაშლა წარმოუდგენელია, თუ არ გაფართოვდა საშენი მასალების წარმოების ბაზა, თუ მაქსიმალურად არ იქნა გამოყენებული ადგილობრივი რესურსები. რაიონში აშენდება 5 მექანიზებული საკირე, ორი აგურის ქარხანა. კოლმეურნეობებს დაევალათ აგურის უოველწლიური წარმოება აიყვანონ მილიონ ცალამდე, კირისა — 2.300 ტონამდე, ღარიანი კრამიტისა — 105 ათას ცალამდე. მნიშვნელოვნად გაადიდებს პროდუქციის გამოშვებას ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი. იგი ყოველწლიურად გამოუშვებს 4 მილიონზე მეტ ცალ აგურს, 800 ათას ტონამდე კირს, 1 მილიონ ცალ კრამიტს.

მშენებლობებში აქტიურ შრომთს მონაწილეობას იღებენ რაიონის მშრომელები, ხშირად ეწყობა შაბათობები. ჩამოყალიბდა მშენებელთა კომკავშირული რგოლები. მშენებლობათა პერიოდულობის თავიდან ასაცილებლად კოლმეურნეობათა საშენებლო ბრიგადის წევრები რამდენიმე პროფესიას ეუფლებიან. კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის დარგში მოწინავეთა დასაჯილდოებლად დაწესებულია გარდამავალი წითელი დროშა და პრემია.

თელავის რაიონის მშრომელები მხურვალედ უჭერენ მხარს მახარაძელთა ინიციატივას, ენერგიულად შრომობენ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის განახორციელებლად.

Ზ. ᲩᲘᲥᲕᲘᲜᲘᲫᲔ,
Ა. ᲮᲣᲜᲓᲐᲫᲔ.

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲯᲘᲯᲘᲡ

საკოლმეურნეო სოფელში სისხლსავსე ცხოვრება ჩქეფს. გაჩაღებულია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. საფუძველი ეყრება მიმდინარე წლის უხვ მოსავალს. უკვე თვალნათლივ ჩანს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მიერ „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარების და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“ მიღებული დიდმნიშვნელოვანი კანონის განხორციელებისათვის ბრძოლის პირველი შედეგები.

ქარელის რაიონის კოლმეურნეები, ისევე როგორც მთელი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, თავდადებით შრომობენ საკოლმეურნეო მინდვრებში, გონივრულად იყენებენ მტს-ებიდან მიღებულ ტექნიკას, რის შედეგადაც სერიოზულ წარმატებებს აღწევენ საგაზაფხულო სამუშაოთა შესრულებაში. როგორც რაიონული გაზეთი „ქარელის კოლმეურნე“ წერს, ახლებურად მუშაობის პირველმა დღეებმა საუკეთესო შედეგები გამოიღო, კოლმეურნეობები გაცილებით უფრო მიზანდასახულად იყენებენ ტექნიკას, ვიდრე ეს მტს-ების მომსახურების პირობებში იყო.

მომზადებული შეხვდნენ გაზაფხულს ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები. კოლმეურნეობის აგრონომი შ. კუხიანიძე გაზეთში წერს, რომ კოლმეურნეობამ მტს-ისაგან შეიძინა სხვადასხვა მარკის 4 ტრაქტორი, კულტივატორები, ხორბლის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის სათესები, გუთნები და სხვ.

„...ჩვენს პირობებში, — წერს შ. კუხიანიძე, — უფრო მოსახერხებლად ვცანით კოლმეურნეობაში შეგვექმნა სატრაქტორო ბრიგადა და მისთვის მიგვემაგრებინა ახლადშეძენილი ტექნიკა. კოლმეურნეობა საკუთარი ტექნიკით უკვე შეუდგა საგაზაფხულო სამუშაოების შესრულებას. დავამთავრეთ საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების თესვა და სხვა სამუშაოები. მუშაობის პირველმა დღეებმა გვიჩვენა, რომ კოლმეურნეობა უფრო რაციონალურად იყენებს ტექნიკას და პირველი შედეგებიც მისახალმებელია“.

გაზეთში დაბეჭდილია აგრეთვე არადეთის საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის შ. ხუმარაძის, ზემო ხვედურეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის გ. თვაურის, ურბნისელი ტრაქტორისტის გ. მამესწარაშვილის, ურბნისის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ს. ბრეგვაძის წერილები, რომლებშიც ლაპარაკია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილების განხორციელებისათვის ბრძოლაში მშრომელთა თავდადებაზე, ახლადშეძენილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების შედეგად მოპოვებულ პირველ წარმატებებზე.

გაზეთმა „ქარელის კოლმეურნემ“ 2 აპრილის ნომერში მთელი გვერდი დაუთმო მასალებს საგაზაფხულო სამუშაოთა მიმდინარეობაზე. წერილებში სოფლის მეურნეობის სპეციალისტები გამოთქვამენ თავიანთ აზრს ახალ პირობებში მუშაობის პირველ შედეგებზე. აი რას წერს სოფელ ურბნისის კოლმეურნეობის მექანიზატორი ი. გოგინაშვილი:

„...ჩვენირაცხეთ რა კოლმეურნეობაში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჩვენი მუშაობის პირობები. აღრე მანქანების ნაწილების გაკეთებისათვის ხშირად რამდენიმე კილომეტრზე ფეხით გვიხდებოდა სიარული. ახლა კი კოლმეურნეობა ზრუნავს ნაწილებისა და საწვავი მასალის მომარაგებისათვის. ჩვენი ბრიგადა გამოცდილი ტრაქტორისტებით არის დაკომპლექტებული. მუშაობის პირველი შედეგები კარგი გვაქვს“...

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ბრიგადა ჩქარი ტემპით აწარმოებს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებს. უკვე დათესილია 53 ჰექტარი გაზაფხულის ხორბალი, 10 ჰექტარი ქერი, 30 ჰექტარი შაქრის ჭარხალი და ა. შ. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ მტს-იდან კოლმეურნეობაში სამუშაოდ გადმოსული მექანიზატორები ს. ბასილაშვილი, ა. ღვინიაშვილი, ა. რუსაშვილი და სხვ.

გაზეთ „ქარელის კოლმეურნის“ ფურცლებზე მრავალი საინტერესო წერილი და კორესპონდენცია იბეჭდება კოლმეურნეობებში ახლებურად მუშაობის პირველ წარმატებებზე. გაზეთი მკითხველს უჩვენებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის დასახულ ისტორიულ ღონისძიებათა განსახორციელებლად კოლმეურნეთა თავდადებულ შრომას, ახალ პირობებში მუშაობის დიდ უპირატესობას.

ᲙᲔᲓᲠᲘᲡ ᲒᲐᲖᲗᲝᲗᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ

ბორჯომი. („კომუნისტის“ კორ.). რკინიგზის ბორჯომის კვანძის პარტიული კომიტეტის ინიციატივით მოეწყო კვანძის საწარმოთა კედლის გაზეთების რედაქტორთა და რედკოლეგიების წევრთა სემინარი, რომელსაც ძირეულ პრესის მუშაკებს გარდა ესწრებოდნენ კვანძის საწარმოთა ხელმძღვანელები და პარტორგანიზაციების მდივნები. სემინარის მონაწილეებმა კედლის გაზეთების რედკოლეგიების მუშაობის ორგანიზაციის შესახებ მოისმინეს რაიონული გაზეთის „კომუნიზმის დროშით“ რედაქციის მუშაკის გ. ბლიადის მოხსენება.

სემინარზე სიტყვებით გამოვიდნენ კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრები შ. აბაშიძე, ა. ღონღაძე და სხვები. საგაზეთო მუშაობის გამოცდილების ურთიერთ გაზიარების მნიშვნელობაზე ილაპარაკა კვანძის პარტიული კომიტეტის მდივანმა ნ. მაღლაფერიძემ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲙᲕᲐᲚᲘ“

„სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი, გამოდის ყოველ კვირა ღღეს“ — ამ სახელწოდებით დაიბადა დემოკრატიული მიმართულების გაზეთი „კვალი“ 65 წლის წინათ, 1893 წლის დასაწყისში. იგი გამოდიოდა ჟურნალ „ჯეჯილის“ დამატებად, რომ ცენზურას ნაკლებად შეემჩნია. რედაქტორად ითვლებოდა ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, ხოლო ფაქტიურად „კვალს“ რედაქტორობდა გიორგი წერეთელი, მეუღლე ანასტასია თუმანიშვილისა.

XIX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, როცა „კვალი“ იწყებს გამოსვლას, საქართველოში დიდ ეკონომიურ და სოციალურ ძვრებს აქვს ადგილი. სამრეწველო აღმავლობამ სულ უფრო და უფრო დაუპირისპირა ერთმანეთს ვაჭარ-მრეწველი ბურჟუაზია და მუშათა კლასი. თავიდან „კვალი“ ამას თითქოს ვერ ამჩნევდა და წინამორბედი გაზეთებისაგან მისი პროგრამა არ განსხვავდებოდა.

1894 წლიდან „კვალმა“ დიდი ცვლილებები, ნამდვილი განახლება განიცადა. ნიჭიერი ბელეტრისტისა და შესანიშნავი პუბლიცისტის ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალებამ და დაკრძალვამ დადო ზღვარი ძველსა და ახალ „კვალს“ შორის. ნინოშვილის საფლავზე შემოკრბა ქართველი საზოგადოების ახალი დასი — „მესამე დასი“, რომელსაც „კვალის“ ხელმძღვანელმა გ. წერეთელმა სოლიდარობა გამოუცხადა, შეიყვანა გაზეთში და ბოლოს „კვალი“ მთლიანად დაუთმო მას. მესამედასელები იყვნენ სამოღვაწეო ასპარეზზე ახლად გამოსულ მარქსისტები, რომლებმაც „კვალს“ სულ ახალი მიმართულება მისცეს. ისინი „კვალის“ ფურცლებზე ათავსებდნენ ვრცელ სტატიებს საქართველოს კაპიტალისტური განვითარებისა და კლასთა ბრძოლის მარქსისტული თეორიის შესახებ. ახალი საზოგადოების „მშობიარობის დასაჩქარებლად და გასაადვილებლად იღვწიან და უნდა იღვწოდნენ კიდევაც საუკეთესო წარმომადგენელნი ახალი თაობისაო“, — ამბობდა დასის ერთ-ერთი წარმომადგენელი ეგ. ნინოშვილის დაკრძალვაზე.

„კვალმა“ დაბეჭდა ნინოშვილის დაკრძალვაზე წარმოთქმული სიტყვები და ახალი დასის გამოჩენას მიუძღვნა სარედაქციო წერილი. ამან აამოძრავა ქართველი ინტელიგენცია. „ივერიაში“ მოკალათებულმა ნაროდნიკებმა გაიალმაქრეს „კვალის“ წინააღმდეგ და უარყვეს ახალი დასიც. მესამე დასის გამოსვლის გამო ნ. ნიკოლაძემ ჟურნალ „მოამბეში“ (გამოდიოდა 1894 წლის დასაწყისიდან, როგორც ყოველთვიური ორგანო. რედაქტორი ალ. ჰყონია) მოათავსა წერილების სერია, რომელიც მიუძღვნა საქართველოს სამეურნეო-ეკონომიური განვითარების ახსნას. ნ. ნიკოლაძემ წამოაყენა მოთხოვნა, რომ ქართველ საზოგადოებას უარეყო ახალი თაობის კონცეპცია კლასთა ბრძოლის შესახებ და მხარი დაეჭირა შუათანა დასისათვის, ანუ ბურჟუაზიისათვის. ნ. ნიკოლაძე იძლეოდა განმარტებას — მართალია, ბურჟუაზია ახლა ევროპაში დაწუნებულია, იქ სოციალისტური იდეები მაგრად რის ფეხმოკიდებული, მაგრამ ჩვენში კიდევ ას ორმოცდაათი წელია საჭირო იმისათვის, რომ ევროპას გავუთანასწორდეთო.

დაიწყო ცხარე პოლემიკა მეღვეს ხელში ეს გაზეთი. 1896-1897 წლებში „კვალის“ მეთაურ წერილებს უმთავრესად ისევ გ. წერეთელი წერდა. ეს წერილები ეხებოდა მრეწველობის, კულტურისა და პოლიტიკის საკითხებს. 1898 წლიდან „კვალის“ მეთაური და მიმომხილველი წერილები მესამედასელების ხელშია. ამ წლის „კვალის“ პირველ ნომერშივე რედაქცია იძლევა თავისი საპროგრამო მოქმედების ძირითად ხაზს: „ბამული, კაპიტალი და შრომა — აი სამი ძირითადი ეკონომიური

მოვლენა, რომელიც შეიცავს დამახასიათებელ თვისებას სამი სხვადასხვა ისტორიული დროისას. პირველი წარმოადგენს საძირკველს წარსულისას, მეორე აწმყოსას და მესამე მომავლისას“.

ფუნდამენტურობის გაბატონებამ, გაზეთის მსჯელობის თანახმად, ორი კლასი—ბურჟუაზია და პროლეტარიატი წამოსწია წინ და უკან სასიკვდილოდ განწირული თავადაზნაურობა მოიტოვა. „აი ეს ორი ახალი კლასია თანამედროვე ცხოვრების მატარებელნი, ესენი, როგორც ახალი პირობების შვილნი, პირდაპირ ებრძვიან ძველ წოდებრივ დამოკიდებულებას“. მაგრამ თვით მათ შორის არის გაჩაღებული ბრძოლა, რომელიც, გაზეთის აზრით, არის თავდები ეკონომიური, საზოგადოებრივი და პოლიტიკური განვითარებისა. „მოშალეთ ეს ბრძოლა და მოიშლება ეკონომიური, იურიდიული, ერთი სიტყვით ყოველმხრივი წარმატება“. „კვალის“ 29-ე ნომრის მოწინავეში „თფილისი“ ეკითხულობთ: „ქართველობა თფილისში დღეს მეორეხარისხოვან როლს ასრულებს ეს ბრძოლა, რომელიც ერის ფეოდალურ-პატრიარქალურ მდგომარეობაში ჩაჭერა. მაშასადამე, ამ მიზეზის ძირიანად ამოგდება, ძველებური ცხოვრების და მიწათმფლობელობის მოსპობა და ახალი ვითარების შეთვისება არის ერთადერთი საშუალება ქართველების გამძლავრებისა და თფილისის გაქალაქებისა. ჩვენ ამ გზაზე ვართ და ამ მხრით მივემგზავრებით“.

„კვალის“ თვალსაზრისი გასაგებია. ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარება არის, მისი აზრით, საქართველოს ცხოვრებაში ახალი ხანა; ყველაფერი, რასაც პროგრესული ელფერი ადევს, ბურჟუაზიული ანუ კაპიტალისტური განვითარების გამოხატულებაა.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, როცა კაპიტალიზმი რუსეთში უკვე შევიდა თავის უკანასკნელ ფაზაში, იმპერიალიზმის ფაზაში, რომელსაც ქართველი ხალხისთანა პატარა ერები იმპერიალისტური ომების სასაკლაოზე გამოჰყავდა, „კვალი“ ახალ კლასებად ბურჟუაზიას და პროლეტარიატს აცხადებს და მოუწოდებს ქართველობას კაპიტალისტური განვითარებისაკენ. ახლა, როცა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა რუსეთშიც და საქართველოშიც ეუფლებოდა მუშათა ბრძოლის ხელმძღვანელობას და ამ ნიადაგზე ხდებოდა სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის შეერთება, „კვალი“ ახალ და უმთავრეს კითხვად ისევ ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის შეერთებულ ბრძოლას აცხადებდა.

ეს იყო აშკარა ოპორტუნიზმი მესამედასელთა მოღვაწეობაში, რომელიც „კვალის“ ფურცლებზე იხატებოდა. განახლებული რედაქციაც გაზეთის პირველი ნომრის მოწინავეში საქვეყნოდ აცხადებდა: „კვალი“ არ არის ორგანო ერთი რომელიმე პირის ან ერთი რომელიმე წრის, ის არის საზოგადო ორგანო, ე. ი. ისეთი, სადაც ყველა საბუთიან შეხედულებას „დგილი ექნება“. „კვალმა“ ახლა თავის დროშად ევროპა გამოაცხადა; საამისოდ მას აღრევე მოუმზადა ნიადაგი ნ. ჟორდანიას წერილებმა. 1898 წელს „კვალში“ იბეჭდებოდა ფ. გოგიჩაიშვილის წერილები „მგზავრის შენიშვნების“ სახელწოდებით, რომლებიც გერმანიისა და კერძოდ, ქალაქ მიუნხენის ცხოვრებას აღწერდა და რომლებიდანაც აშკარად გამოსჭვიოდა ბურჟუაზიული თვალსაზრისი.

„კვალი“ დიდ მიდრეკილებას იჩენდა საქართველოს მეცნიერული ისტორიისადმი და თავის ფურცლებზე ათავსებდა წერილებს საქართველოს წარსული ისტორიიდან. ეს წერილები თითქმის ყველა გ. წერეთელს ეკუთვნის. გაზეთს აცოცხლებდა აკაკის თანამშრომლობა, მისი შესანიშნავი წერილები, მემუარები და ისტორიული მოთხრობები. თავისი მოგონებანი „ჩემი თავგადასავალი“ აკაკიმ პირველად „კვალში“ დაბეჭდა. აქვე ბეჭდავდა იგი მიმომხილველ წერილებს სათაურით „ცხელ-ცხელი ამბები“.

გაზეთი სათანადო ადგილს უთმობდა ქართული თეატრის საკითხებს და ეხმაურებოდა ყოველ ახალ მოვლენას თეატრის ცხოვრებაში. მაინც ლიტერატურისა და კულტურის საკითხებზე „კვალმა“ ვერ გაუწია მეტოქეობა „ივერიას“ და ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც სალიტერატურო ორგანო მეტად ხალვათი გამოდგა. „კვალში“ იბეჭდებოდა კრიტიკოს ხომლელის წერილები ქართულ ლიტერატურაზე. ამ წერილებს ღირებულების დახასიათებისათვის საკმარისია ითქვას, რომ კრიტიკოსი ვაჟა-ფშაველას სილოვან ხუნდაძესთან აყენებდა და ორივეს უჩიოდა, ნაყოფიერად ვეღარ მუშაობენო, მაშინ როცა დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე ქედს იხრიდა ვაჟას წინაშე: 1895 წელ რაფიელ ერისთავის იუბილეზე, ვაჟისა და იუბილარის გასაგონად ილიას უთქვამს ვაჟა-ფშაველაზე, ეს ისეთი დევი შემოვიდა ქართულ მწერლობაში, რომ დროა ჩვენ კალამი დავდოთო.

„კვალის“ დამსახურება მაინც ჩრდილავს იმ ნაკლს, რომელიც მას ახასიათებდა.

ᲞᲠᲝᲤ. Ა. ᲙᲘᲙᲕᲘᲫᲔ.

სოფლის ახალგაზრდობავ, ახალი შრომითი წარმატებებით ასახელე დედა სამშობლო!

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავეთა შეკრებაზე

★ ★

კომკავშირის სახელოვანი მეორმოცე წლისთავის შესახვედრად

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. თ. მენთეშაშვილის მოხსენებიდან

ამხანაგებო! გასულ წელს რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებიც განუხრელად ახორციელებენ სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ბრძნულ ღონისძიებებს, მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში.

ამ წარმატებებში მნიშვნელოვანია რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობის წვლილიც.

საქართველოს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი უჭირავს ჩაის კულტურას. რესპუბლიკის ახალგაზრდობა თავდადებით შრომობს ჩაის კულტურის განვითარებისათვის, ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღებისათვის. მეხუთე წელია გრძელდება ახალგაზრდა მეჩაიეთა სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიც ბევრი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რგოლი და ცალკეული მკრეფავი მონაწილეობს.

ჩაის ფოთლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში თავიანთი წვლილი შეაქვთ მოსწავლე ახალგაზრდებს. ბევრი მოსწავლე არათუ არ ჩამორჩება, არამედ კიდევაც უსწრებს უფროსებს. წულუკიძის საშუალო სკოლის მოსწავლემ ინგა საღარაძემ შარშან სეზონში მოკრიფა 4.507 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, მაშინ როცა გასულ წელს ამ რაიონში საშუალოდ ჰექტარზე 776 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფეს.

საქართველოს მეჩაიეებმა უახლოეს წლებში მთლიანად უნდა დააკმაყოფილონ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილება, 1965 წელს მოკრიფონ 190-200 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი.

ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანის განხორციელება მოითხოვს უწინარეს ყოვლისა გავაუმჯობესოთ ჩაის პლანტაციების მოვლა და გავადიდოთ მოსავლიანობა.

საქართველოს კომკავშირის XXII ყრილობამ გადაწყვიტა 1958 წელს ახალგაზრდობის ძალებით მოკრეფილ იქნას 75.000 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, აღდგენილ იქნას 2.000 ჰექტარი დასუსტებული და გამეჩხერებული ჩაის პლანტაციები.

მეჩაიეობის რაიონთა კომკავშირული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა უზრუნველყონ ყრილობის ამ გადაწყვეტილების წარმატებით შესრულება. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეუფობა უნდა აიღონ ჩაის ახალგაზრდა პლანტაციებზე, მოაწყონ სპეციალური სანერგეები, მიაღწიონ მწყობრიდან გამოსული პლანტაციების აღდგენას.

მომხსენებელი ლაპარაკობს რესპუბლიკაში მევენახეობის განუხრელ აღმავლობაზე და ამ საქმეში კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანებზე.

ხეხილის ბაღებს საქართველოში, ამბობს მომხსენებელი, 115.670 ჰექტარი უჭირავს. შარშან კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 3.640 ჰექტარი ხეხილის ახალი ბაღები გააშენეს და სახელმწიფოს 60.000 ტონა ხილი ჩააბარეს. ამჟამად ჩვენს წინაშე დგას ამოცანა 1965 წლისათვის კოლმეურნეობებში დამატებით კიდევ გავაშენოთ 70.000 ჰექტარი ხეხილის ბაღები.

მაგრამ დასამალავი როდია, რომ კომკავშირის რაიკომები და პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად რაზმავენ ახალგაზრდობას მეხილეობა-მებაღეობის განვითარებისათვის საბრძოლველად.

საქართველოს კომკავშირმა ვალდებულება იკისრა 1960 წლისათვის ახალგაზრდობის ძალებით გააშენოს 5.000 ჰექტარი ხეხილის ბაღები. ეს კი მოითხოვს უფრო აქტიურად ჩავაბათ ახალგაზრდობა მეხილეობა-მებაღეობის განვითარების საქმეში.

მომხსენებელი ამბობს, რომ სოფლის კომკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ ბრძოლა. მარცვლეული კულტურების, განსაკუთრებით სიმინდის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

შეეხო რა მეცხოველეობის განვითარებისა და ამ საქმეში სოფლის ახალგაზრდობის მონაწილეობის საკითხებს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კონკრეტული საქმეებით უნდა უპასუხონ მშობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდებას — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში გაიხსნება საკავშირო ალკკ XIII ყრილობა. ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყოველი კუთხიდან კომკავშირული ორგანიზაციები ყრილობას უპატაკებენ თავიანთ წარმატებებზე, ახალ საგმირო საქმეებზე.

საქართველოს კომკავშირელებსაც შეუძლიათ ბევრი რამ მოუთხრონ ყრილობას. საყურადღებოა ბათუმის რაიონის ახალშენის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდების ინიციატივა. მათ წამოაყენეს წინადადება სოფლად „კომკავშირული ყულაბის“ მოწყობის შესახებ. კომკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა ფართოდ დაუჭირონ მხარი ამ შესანიშნავ ინიციატივას.

დღევანდელ შეკრებაზე ათობით კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადებსა და რგოლებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის სულ სხვადასხვა დარგში მუშაობენ, გადაეცათ გარდამავალი წითელი დროშები. ეს დროშები, რომლებზეც გამოხატულია ლენინური კომკავშირის ემბლემა, იმის თავდები იქნება, რომ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობა, რომელიც აღფრთოვანებით ჩაება კომკავშირის მე-40-წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, კიდევ უფრო მეტი თავდადებით იმუშავებს საკოლმეურნეო მინდვრებში, ბაღებსა და ვენახებში იმისათვის, რომ ახალი წარმატებებით შეხვდეს სახელოვან იუბილეს.

უმაგალითო პატრიოტული აღმავლობით ჩაიარა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავეთა შეკრებამ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში თავი მოიყარეს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდა ენთუზიასტებმა, მოწინავე კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა. მათ შეაჯამეს გასულ წელს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის გაწეული მუშაობის შედეგები და დასახეს ახალი ამოცანები.

შეკრების მონაწილენი უდიდესი აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმისა და სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებზე, მსჯელობდნენ ამ გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანებზე და დაწვრილებით მოუთხრობდნენ იმაზე, თუ რის გაკეთებას ფიქრობენ წელს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად.

ამასთან ერთად შეკრებაზე აღინიშნა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები. როგორც მოხსენებიდან და კამათის მონაწილეთა გამოსვლებიდან გამოირკვა, რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არიან ცალკეული ახალგაზრდები, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ შრომას. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ისე უნდა მოაწყონ მუშაობა, რომ ყველა ახალგაზრდა აქტიურად მონაწილეობდეს საკოლმეურნეო წარმოებაში.

ვბეჭდავთ საქართველოს სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავეთა შეკრების შემოკლებულ ანგარიშს.

სიმწიფის ატესტატით კოლმეურნეობაში

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭაბუკიანის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივნის, მოწინავე მწველავის ქ. ხუბაშვილის გამოსვლიდან

ვისაც აღრე სოფელ ჭაბუკიანის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში გაუვლია, დაინახავდა დაჯანდაკებულ ძროხებს და იტყოდა: — ტყუილად იხარჯება ამდენი შრომა, მაინც არაფერი გამოვაო. მართლაც ასე იყო. მთელი წლის განმავლობაში თვითეულ საფურაქე ძროხაზე ძლივს იღებდნენ 200-250 კილოგრამ რძეს.

ქ. ხუბაშვილი.

მაგრამ ახლა ასე როდია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ კოლმეურნეობაში აწონ-დაწონეს მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების არსებული შესაძლებლობანი. მაღალი წველადობის მიღწევის უზრუნველსაყოფად შექმნეს მტკაცე საკვები ბაზა. პირუტყვისათვის ააგეს კეთილმოწყობილი სადგომები. შექმნეს ყველა პირობა იმისათვის, რომ ფერმის მუშაკებს სანიმუშოდ მოევლოთ პირუტყვისათვის. ახლა მეცხოველეობის ფერმა კოლმეურნეთა სიამაყეა. შარშან, მაგალითად, თვითეულ ძროხაზე მიღებულ იქნა 950 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 800 კილოგრამისა.

კოლმეურნეობის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ახალგაზრდობას.

არასოდეს არ დამავიწყდება, ის, რომ 1955 წელს ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენის საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ახალგაზრდობას გვერდში ამოვუდექი და მუშაობა დავიწყე კოლმეურნეობაში. პირველად მემინდვრეობის ბრიგადაში ვმუშაობდი და ყოველწლიურად 120-180 შრომადღეს ვიმუშავებდი.

ჩვენი კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში მწველავად უმეტესად მამაკაცები მუშაობდნენ. კომკავშირელმა გოგონებმა გადაწყვიტეთ საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ფერმაში მწველავებად გვემუშავნა და შეგვეცვალა მამაკაცები.

1957 წელს კოლმეურნეობის გამგეობას მივმართე თხოვნით მეცხოველეობის ფერმაში მწველავად გადაყვანის შესახებ. გამგეობის ზოგიერთი წევრი თანახმა არ იყო ფერმაში სამუშაოდ ჩემი გაშვებისა.

— ჯერ გამოუცდელი ახალგაზრდაა, სირცხვილს გვაკმევს, — ამბობდნენ ისინი.

მაგრამ ბოლოს კოლმეურნეობის გამგეობამ მაინც დააკმაყოფილა ჩემი თხოვნა.

ფერმის მოწინავე მუშაკთა გამოცდილების გაზიარებით კარგად შევისწავლე ძროხების წველა. წელს 3 თვეში მოსავლელად მიჩენილ 10 ძროხიდან თვითეულზე 600 კილოგრამზე მეტი რძე მივიღე. ამ მაჩვენებლების მიხედვით ერთ-ერთ მოწინავე მუშაკად ვითვლები კოლმეურნეობაში. ვარ აგრეთვე კომკავშირის კომიტეტის მდივანი. ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ პირნათლად გავამართლო დაკისრებული მოვალეობა. ჩემი პირობაა წელს საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე მივიღო 3 ათასი კილოგრამი რძე.

ჩემს მაგალითს სხვებმაც მიბაძეს. ჩვენი კოლმეურნეობის ახალგაზრდებმა მ. ჯაჯანიძემ, მ. ყველაშვილმა, ნათელა და ზაირა გელაშვილებმა და სხვებმა საშუალო სკოლის კურსის დამთავრების შემდეგ მეცხოველეობის ფერმაში მწველავებად დაიწყეს მუშაობა და ახლა ისინი შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ.

ამჟამად კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან ათობით ჭაბუკები და ქალიშვილები. ავტომატორები შინაარსიან საუბრებს აწყობენ მინდვრად და ფერმაში. მომუშავეთა შორის. ისინი კოლმეურნეებს აცნობენ სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ჩვენი კოლმეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციის ყველა ღონისძიება ახლა იქითკენ არის მიმართული, რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ ახალგაზრდობის შრომითი და პოლიტიკური აქტივობა.

ი. საღარაძე.

ვისწავლოთ წარმატებით, ვიმუშაოთ თავდადებით

წულუკიძის პირველი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლის ი. საღარაძის გამოსვლიდან

მიყვარს შრომა, ხშირად თავისუფალ დროს ვეხმარები ხოლმე მშობლებს როგორც საოჯახო საქმეში, ისე მინდვრის სამუშაოებშიც

ჯერ კიდევ მე-6 კლასის მოსწავლე ვიყავი, საკოლმეურნეო შრომაში რომ ამ ვალდებულებას რომ ვიღებდი, როგორც სკოლაში, ისე კოლმეურნეობაში ძალიან ეუცხოებოდათ. ეგონათ, ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვა იქნებოდა. მაგრამ არა! კომკავშირის სახელი არ შევარცხვინე. სწავლის დამთავრების შემდეგ თავისუფალ დროს ყოველდღე ჩაის ხავერდოვან პლანტაციაში ვიყავი. ყურადღებით ვუვლიდი თვითეულ ბუჩქს. შემოდგომაზე, ბარვის დაწყების წინ, სასუქების თანაბრად განაწილებდი პლანტაციაში ფართობის ზედაპირზე, ხოლო შემდეგ ნიადაგი გადავბარე 15 სანტიმეტრ სიღრმეზე.

ბუჩქების გასხვლა-გაფორმებას ფრთხილად და აუჩქარებლად ვატარებდი. თვითეულ ბუჩქს ვსხლავდი სიმაღლის მიხედვით. ამით შეექმენი პირობები, რომ ბუჩქისათვის მიმეცა ფართო თალი, რამაც დიდად შეუწყო ხელი მოსავლიანობის გადიდებას. გასხვლის სამუშაოებს ვამთავრებდი 5 მარტამდე. ამის შემდეგ 5-7 სანტიმეტრ სიღრმეზე ჩათოხნით შემჭონდა 400 კილოგრამამდე აზოტოვანი სასუქი. სასუქი ფართობში სულ სამჯერ შევიტანე.

ჩვენს კოლმეურნეობაში ბევრს ავიწყდებოდა, რომ ჩაის ბუჩქი სათუთი მცენარეა. იგი ყოველდღიურ ზრუნვას მოითხოვს, ამიტომ ყოველდღე თავს დავტრიალებდი ბუჩქებს. ტენის შენარჩუნების მიზნით ხშირად ვაფხვიერებდი ნიადაგს.

განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე ცალკე მწკრივების მიხედვით მოსავლიანობის აღრიცხვას. ამისთვის მქონდა სპეციალური ჟურნალი, სადაც აღნიშნული იყო თვითეულ მწკრივში ჩაის მოსავლიანობის მაჩვენებლები წლების მიხედვით. ეს საშუალებას მაძლევს გავერკვე, რომელ ჩაის ბუჩქს რა დოზით მივცე სასუქი. ასეთი წესით მივაღწიე იმას, რომ ჩემზე მოსავლელად მიჩენილ პლანტაციაში თითქმის ყველა ბუჩქი ერთნაირ, მაღალ მოსავალს იძლევა.

სერიოზულ ყურადღებას ვაქცევდი ფოთლის დროულად და სწორად კრეფას. ჩაის ფოთოლს შემოსავლის დღიდან ვკრეფდი ყოველდღიურად, განუწყვეტლივ, ვატარებდი აგრეთვე სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებებს. ყოველივე ამან კარგი შედეგი გამოიღო. შარშან მოვკრიფე 4.507 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და ამით გეგმას 3.907 კილოგრამით გადავაჭარბე. სწავლაშიც ერთ-ერთი მოწინავე ვარ. ეი რა შეუძლია მონდომებას, დროის სწორად, გონივრულად გამოყენებას, ბეჯითი შრომას.

სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავეთა რესპუბლიკურ შეკრების პირობას ვაძლევ, რომ ჩემ მიერ მოპოვებულ მაჩვენებლებს უკან ჩამოვიტოვებ, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ვისწავლო წარჩინებით და ამასთან ერთად ჰექტარზე გადაყვანით მივიღო 10 ათასი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

ჩვენთვის, საბჭოთა ახალგაზრდობისათვის, ყველა გზა გახსნილია სწავლისაკენ, შრომისაკენ, დიდებისაკენ, და ჩვენც, ახალგაზრდები, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ამ მშობლიურ ზრუნვას წარჩინებული სწავლითა და თავდადებული შრომით ვუპასუხებთ.

ჩემი შრომითი გზა

გორის რაიონის სოფელ ბერბუკის კოლმეურნე მექანიზატორის გ. აბალაკის გამოსვლიდან

პატარაობიდანვე ჩემს ყურადღებას იპყრობდა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები. 1956 წელს საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სამუშაოდ გორის მანქანა-ტრაქტორთა სადგურს მივაშურე. ჩემი პირველი პრაქტიკული საქმიანობა ტრაქტორზე მომბმელის თანამდებობით დავიწყე. მალე სურამში მექანიზატორთა კურსებზე გამგზავნეს. კურსები წარჩინებით დავამთავრე და კომბაინერად დავიწყე მუშაობა.

გადიოდა დღეები... უფრო და უფრო ვეუფლებოდი კომბაინერის სპეციალობას და თვალსაჩინო წარმატებებსაც ვაღწევდი შრომაში.

მშობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდების პასუხად შარშან ჩვენი რესპუბლიკის სხვა ახალგაზრდებთან ერთად მოძმე აზერბაიჯანში წავედი ყამირის უხვი მოსავლის ასაღებად. იქაც კომბაინზე ემუშაობდი და დიდი გადაჭარბებით ვასრულებდი პურეულის მკის ყოველ-



გ. აბალაკი.

დღიურ დავალებას. დამაჯილდოვეს მედლით „ყამირი მიწების ათვისებისათვის“.

ყამირი მიწებიდან დაბრუნებისთანავე მთელი ძალღონით შევუდექი მუშაობას. კომბაინერობასთან ერთად ზეინკლობაც შევისწავლე და ჩვენს მტს-ში ამ სამუშაოსაც ვასრულებდი. ამავე დროს ტრაქტორის მართვაც შევისწავლე. მექანიზატორობამ ისე შემაყვარა თავი, რომ ყოველთვის მსურდა მანქანასთან ვყოფილყავი. გულდასმით ვუვლიდი მის თვითეულ დეტალს, ვიბრძოდი მანქანის მაღალი წარმადობის უზრუნველსაყოფად და საწვავის ეკონომიისათვის.

დღეს დღე მისდევდა. ამ ხნის მანძილზე დიდად გამდიდრდა ჩემი პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება. მაგრამ ვგრძნობდი, რომ საჭირო იყო თეორიული ცოდნის მიღებაც. მტკიცედ გადავწყვიტე უმაღლესი განათლება დაუსწრებლად მიმეღო, და ეს გადაწყვეტილება კიდევაც შევასრულე. ახლა მუშაობასთან ერთად ვსწავლობ თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. პრაქტიკულად მიღებული ცოდნა დიდად მეხმარება სწავლაში.

ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, სიხარულით შევხვდი სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. მტს-ების რეორგანიზაცია ნამდვილად დროული ღონისძიება. მიწას რომ ორი პატრონი ჰყავდა, ეს ამცირებდა მექანიზატორთა შრომის ნაყოფიერებას. თვითეული ჩვენგანი იქ მიიწევდა, სადაც შრომადღის მაღალი ანაზღაურება იყო, ჩამორჩენილ კოლმეურნეობას კი ყველა გაურბოდა.

ამჟამად საუკეთესო პირობებია შექმნილი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის. ამ დღეებში მშობლიური სოფლის ბერბუკის კოლმეურნეობაში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინი ჩავიბარე. მანქანა წესრიგზეა მოყვანილი. ვალდებულება ვიკისრე ლენინური კომკავშირის სახელოვანი მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ათ სამუშაო დღეში პურეულის მოსავალი ავიღო 250 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 100 ჰექტარისა, დიდი რაოდენობით დავზოგო საწვავი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავეთა შეკრება. სურათზე: შეკრების მონაწილენი დარბაზში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

★

შეკრების მონაწილეთა მიმართვიდან

შეკრებამ მიიღო მიმართვა საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სოფლის ყველა ახალგაზრდისადმი. მიმართვაში ნათქვამია:

საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელიც გარემოსილია მშობლიური კომუნისტური პარტიის ყოველდღიური ზრუნვითა და ყურადღებით, სწავლასა და შრომაში მოპოვებული დიდი წარმატებებით ხვდება თავისი მოწინავე რაზმის — ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავს.

ხალხის კეთილდღეობისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ახალი მკაფიო გამოხატულებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმისა და სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

მთელ საბჭოთა ახალგაზრდობასთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკები და ქალიშვილები თავდადებით იბრძვიან სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის.

გასულ წელს რესპუბლიკის ათასობით ახალგაზრდამ შესანიშნავი მიღწევები მოიპოვა ჩაის, ციტრუსების, ყურძნის, ხილის, მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, თამბაქოს, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაღალი მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საქმეში.

ჩვენ სავსებით შეგნებული გვაქვს, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ახალგაზრდობის წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. კოლმეურნეობების განკარგულებაში გადაცემულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას სჭირდება კვალიფიციური კადრები. ჩვენი ამოცანაა შეუფერხებლად გამოვიყენოთ მძლავრი ტექნიკა. ამ საქმეში ფართოდ უნდა ჩავაბათ 7-წლიანი და საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები და ამით კიდევ უფრო შევუწყოთ ხელი კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნას.

ჩვენ, სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავეები, ვებმებით რა კომკავშირის სახელოვანი მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობის სახელით ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

ჩაის კულტურის რაიონებში ფართოდ ჩავაბამთ ახალგაზრდობას ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში. დამატებით შეექმნით მეჩაიეობის 40 ახალგაზრდულ რგოლს და ბრიგადას. გამოვაცხადებთ ლაშქრობას მეჩხერი და დასუსტებული ჩაის პლანტაციების აღსადგენად, მომდინარე წელს აღვადგენთ 2.000 ჰექტარ ჩაის პლანტაციებს.

ახალგაზრდობის ძალებით მოვკრიფთ და სახელმწიფოს ჩავაბარებთ 75 ათას ტონა ჩაის ნედლეულს, მათ შორის 80 პროცენტს პირველი ხარისხის ფოთოლს.

1958 წელს მევენახეობაში სამუშაოდ დამატებით გავგზავნით 1.000 ახალგაზრდას. ჩვენი ძალებით გავაშენებთ 525 ჰექტარ ვენახს. ახალგაზრდებისათვის მოხავლელად მიჩენილი მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღებთ საშუალოდ 75 ცენტნერ ყურძენს.

მებაღეობაში დამატებით ჩავაბამთ 500 ახალგაზრდას. ჩვენი ძალებით გავაშენებთ 500 ჰექტარ ხეხილის ბაღებს და აღვადგენთ 250 ჰექტარს.

კომკავშირელებისა და ახალგაზრდებისათვის მოხავლელად ჩაბარებულ ყოველ ძროხაზე საშუალოდ მივიღებთ 1.600 ლიტრ რძეს.

ახალგაზრდობის ძალებით 1958 წელს გავაშენებთ მწვანე კონვეიერს 1.000 ჰექტარზე, 800 ჰექტარზე დავთესავთ ხაკვებ ჭარხალს და მიწავაშლას, გავასუქებთ და სახელმწიფოს ჩავაბარებთ 45.000 სულ ღორს.

ვიღებთ შეფობას მეფრინველეობაზე და ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ მეფრინველეობის განვითარების რესპუბლიკური გეგმა ძირითადად ახალგაზრდებმა შეასრულონ.

სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანის საქმეში დამატებით ჩავაბამთ 5.000 ახალგაზრდას, დავამუშავებთ 30.000 ჰექტარ სიმინდის ფართობს და ახალგაზრდებისათვის მოხავლელად მიჩენილი ნაკვეთებიდან საშუალოდ ჰექტარზე მივიღებთ 35 ცენტნერ სიმინდს.

აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ სოფლად კულტურული მშენებლობის გეგმების წარმატებით განხორციელებაში. ჩვენი აქტიური მონაწილეობით ავაშენებთ და შევაკეთებთ კლუბებს, ბიბლიოთეკებს, სასპორტო მოედნებს და სხვ. ჩვენი ძალებით დავრგავთ სულ მცირე 2 მილიონ მწვანე ნარგავს.

ვიღებთ რა ამ ვალდებულებებს, მოვუწოდებთ სოფლის ყველა ახალგაზრდას მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ნაკისრ ვალდებულებათა განუხრელად განხორციელებას, ფართოდ გამოიყენონ ამისათვის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა მიღწევები და მოწინავეთა მდიდარი გამოცდილება.

ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის!

ჩინეთის ხალხი და მთავრობა მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას

ჯოუ ენ-ლაის განცხადება

პეკინი, 10 აპრილი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იტყობინება: გუშინ საღამოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ, სიტყვა წარმოთქვა რა დარბაზობაზე, რომელიც მის პატივსაცემად და საგარეო საქმეთა მინისტრის ჩენ ის პატივსაცემად გამართეს ჩინეთში დიპლომატიური და ეკონომიური მისიების მეთაურებმა, განაცხადა, რომ ჩინეთის მთავრობა და ხალხი მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებას ატომგულის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ.

ჯოუ ენ-ლაიმ თქვა, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილების საფუძველზე უკვე გადაწყვიტა 1958 წლის 31 მარტიდან შეწყვიტოს ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა. ჩვენ მივესალმებით ამ დიად სამშვიდობო ინიციატივას კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ბირმის პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირის ინიციატივას. დიპლომატიური კორპუსის უხუცესი, რომელმაც მოაწყო ეს დარბაზობა, ამ მშვიდობისმოყვარე ქვეყნის წარმომადგენელია, რაც იმას იმსახურებს, რომ მიეულოცოთ მას.

ჩინეთის მთავრობამ აგრეთვე მიიღო საბჭოთა კავშირის მთავრობისაგან ცნობა ამ გადაწყვეტილების შესახებ. ვსარგებლობ რა შემთხვევით, ვთხოვ საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულს გადასცეს საბჭოთა მთავრობას, რომ ჩინეთის მთავრობა და ხალხი მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის მთავრობის ამ დიდმნიშვნელოვან ინიციატივას.

აგრეთვე ვთხოვ აქ დამსწრე სხვა ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლებს გადასცენ თავიანთ მთავრობებს, რომ ჩინეთის მთავრობას იმედი აქვს, რომ მათი მთავრობები, განსაკუთრებით იმ ქვეყნების მთავრობები, რომლებსაც ატომგულის იარაღი აქვთ, აქტიურად დაუჭერენ მხარს და გამოეხმაურებიან საბჭოთა კავშირის მთავრობის ამ გადაწყვეტილებას.

პრემიერ ჯოუ ენ-ლაის სიტყვა მრავალგზის შეაწყვეტინეს ტაშით.

დარბაზობა მოაწყეს ჩინეთში დიპლომატიური და ეკონომიური მისიების მეთაურებმა და მათმა მეუღლეებმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის, პრემიერის მოადგილისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩენ ის და მისი მეუღლის პატივსაცემად. დარბაზობას აგრეთვე ესწრებოდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილეები პინ დე-ხუაი, ხე ლუნი, ლი ფუ-ჩუნი და ნე ჟუნ-ჯენი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ჯან ხან-ფუ, ლო გუი-ბო და ძი პინ-ფეი.

პეკინში დიპლომატიური კორპუსის უხუცესმა, ბირმის ელჩმა უ ხლა მაუნგმა, რომელიც დარბაზობაზე თავმჯდომარეობდა, თავის სიტყვაში განაცხადა, რომ მისი აღმატებულება ბ-ნი ჯოუ ენ-ლაი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო მისი შექმნის მომენტიდან. ამ ხნის მანძილზე, თქვა უ ხლა მაუნგმა, ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა ახლოს გაგვეცნო მისი აღმატებულება ბ-ნი ჯოუ ენ-ლაი. მიუხედავად ბევრი სხვა დიდმნიშვნელოვანი საქმისა, მისი აღმატებულება ყოველთვის იყო მეტად თავაზიანი დიპლომატიური კორპუსისადმი. იგი პოულობდა დროს, რომ შეგვხვედროდა ხშირად საუცხოო უშუალობით და ამით გვიწევდა ყოველგვარ შესაძლო დახმარებას ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებაში.

ნება მიბოძეთ, განაცხადა უ ხლა მაუნგმა, ყველა ჩვენგანის სახელით მადლობა მოვახსენო მის აღმატებულებას იმ ახლო და გულითადი ინტერესისათვის, რომელსაც იჩენდა იგი ჩვენი მუშაობისადმი. დარწმუნებული ვართ, რომ ამ პოსტის დაკავებით მისი აღმატებულება ბ-ნი ჩენ ი კვლავაც განავითარებს ასეთივე ახლო და გულითად ურთიერთობას, რადგანაც მისი აღმატებულებაც აგრეთვე არის ჩვენი ძველი მეგობარი.

ბირმის ელჩმა უ ხლა მაუნგმა პეკინში დიპლომატიური და ეკონომიური მისიების ყველა მეთაურის სახელით პრემიერ ჯოუ ენ-ლაის მიართვა ადრესი ვერცხლის ფირფიტაზე, რომელზეც გამოკვეთილია დედამიწა და მტრედი — მშვიდობისა და მეგობრობის სიმბოლო. ფირფიტაზე აგრეთვე ამოკვეთილია ხელმოწერა და რამდენიმე სიტყვა, რომლებიც ალნიშნავენ „ჯოუ ენ-ლაის მეგობრულ თანამშრომლობას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნის დროს“.

მიიღო რა ადრესი, პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ მადლობა გადაუხადა დარბაზობის მომწყობთ საჩუქრისათვის, და თქვა, რომ მას ეს საჩუქარი მიაჩნია იმ ქვეყნების ყველა მეგობრის კეთილ ნების გამოხატულებად ჩინელი ხალხის მიმართ, რომლებსაც დიპლომატიური, ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა აქვთ ჩინეთთან.

შეეხო რა ფირფიტაზე ამოკვეთილ სიტყვებს „მეგობრული თანამშრომლობა“, პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ თავის მხრივ მადლობა გადაუხადა დიპლომატიური და ეკონომიური მისიების მეთაურებს მათი მეგობრული თანამშრომლობისათვის. ჩინეთის მთავრობა, თქვა მან, თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას და სარგებლობს დიპლომატიური და ეკონომიური მისიების მეთაურთა თანამშრომლობითა და მხარდაჭერით. მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპს, რომელიც ჩინეთმა, ინდოეთმა და ბირმამ გამოაცხადეს, თქვა მან შემდეგ, იწონებს და მხარს უჭერს აზიის, აფრიკისა და ევროპის სულ მეტი და მეტი ქვეყანა. ეს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დღეს ჩვენს მეგობრულ შეხვედრაზე.

დასასრულ პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ რწმენა გამოთქვა, რომ მსოფლიოში მშვიდობის საქმე გაიმარჯვებს. მან წარმოთქვა მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და ყველა ქვეყნის ხალხთა მეგობრული თანამშრომლობის სადღეგრძელო.

გამოვიდა რა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ჩენ ის სახელით, რომელიც არ ესწრებოდა დარბაზობას ავადმყოფობის გამო, ჩენ ის მეუღლემ მადლობა გადაუხადა დიპლომატიური და ეკონომიური მისიების მეთაურებსა და მათ ცოლებს იმ პატივისცემისათვის, რომელიც გაუწიეს მას და მის მეუღლეს ამ ბანკეტზე, და წარმოთქვა ხალხთა მშვიდობის სადღეგრძელო.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

სოფია, 10 აპრილი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

მომდინარე წლის 25 მარტს ბუნდესტაგმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მოთხოვნი ი მიიღო გადაწყვეტილება დასავლეთ გერმანიის არმიის ატომური და რაკეტული იარაღით აღჭურვის შესახებ. ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა კამათი რამდენიმე დღის განმავლობაში, რომლის დროს მთავრობის კოალიციის წარმომადგენლებმა, განსაკუთრებით თავდაცვის მინისტრმა შტრაუსმა. აგრეთვე თვითონ ადენაუერმა და დასავლეთ გერმანიის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებმა, წარმოთქვეს აგრესიული მუქარით აღსავსე სიტყვები, რომლებიც ჰიტლერისა და გებელსის ხანას მოგვაგონებენ...

ბუნდესტაგის გადაწყვეტილება მიღებულია იმ მომენტში, როცა საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ღონისძიებანი მიმართულია იქითკენ, რომ შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა, როცა გაიმატეტური და ეკონომიური მისიების მეთაურებმა და მათმა მეუღლეებმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის, პრემიერის მოადგილისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩენ ის და მისი მეუღლის პატივსაცემად. დარბაზობას აგრეთვე ესწრებოდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილეები პინ დე-ხუაი, ხე ლუნი, ლი ფუ-ჩუნი და ნე ჟუნ-ჯენი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ჯან ხან-ფუ, ლო გუი-ბო და ძი პინ-ფეი.

პეკინში დიპლომატიური კორპუსის უხუცესმა, ბირმის ელჩმა უ ხლა მაუნგმა, რომელიც დარბაზობაზე თავმჯდომარეობდა, თავის სიტყვაში განაცხადა, რომ მისი აღმატებულება ბ-ნი ჯოუ ენ-ლაი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო მისი შექმნის მომენტიდან. ამ ხნის მანძილზე, თქვა უ ხლა მაუნგმა, ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა ახლოს გაგვეცნო მისი აღმატებულება ბ-ნი ჯოუ ენ-ლაი. მიუხედავად ბევრი სხვა დიდმნიშვნელოვანი საქმისა, მისი აღმატებულება ყოველთვის იყო მეტად თავაზიანი დიპლომატიური კორპუსისადმი. იგი პოულობდა დროს, რომ შეგვხვედროდა ხშირად საუცხოო უშუალობით და ამით გვიწევდა ყოველგვარ შესაძლო დახმარებას ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებაში.

ნება მიბოძეთ, განაცხადა უ ხლა მაუნგმა, ყველა ჩვენგანის სახელით მადლობა მოვახსენო მის აღმატებულებას იმ ახლო და გულითადი ინტერესისათვის, რომელსაც იჩენდა იგი ჩვენი მუშაობისადმი. დარწმუნებული ვართ, რომ ამ პოსტის დაკავებით მისი აღმატებულება ბ-ნი ჩენ ი კვლავაც განავითარებს ასეთივე ახლო და გულითად ურთიერთობას, რადგანაც მისი აღმატებულებაც აგრეთვე არის ჩვენი ძველი მეგობარი.

ბირმის ელჩმა უ ხლა მაუნგმა პეკინში დიპლომატიური და ეკონომიური მისიების ყველა მეთაურის სახელით პრემიერ ჯოუ ენ-ლაის მიართვა ადრესი ვერცხლის ფირფიტაზე, რომელზეც გამოკვეთილია დედამიწა და მტრედი — მშვიდობისა და მეგობრობის სიმბოლო. ფირფიტაზე აგრეთვე ამოკვეთილია ხელმოწერა და რამდენიმე სიტყვა, რომლებიც ალნიშნავენ „ჯოუ ენ-ლაის მეგობრულ თანამშრომლობას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნის დროს“.

მიიღო რა ადრესი, პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ მადლობა გადაუხადა დარბაზობის მომწყობთ საჩუქრისათვის, და თქვა, რომ მას ეს საჩუქარი მიაჩნია იმ ქვეყნების ყველა მეგობრის კეთილ ნების გამოხატულებად ჩინელი ხალხის მიმართ, რომლებსაც დიპლომატიური, ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა აქვთ ჩინეთთან.

შეეხო რა ფირფიტაზე ამოკვეთილ სიტყვებს „მეგობრული თანამშრომლობა“, პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ თავის მხრივ მადლობა გადაუხადა დიპლომატიური და ეკონომიური მისიების მეთაურებს მათი მეგობრული თანამშრომლობისათვის. ჩინეთის მთავრობა, თქვა მან, თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას და სარგებლობს დიპლომატიური და ეკონომიური მისიების მეთაურთა თანამშრომლობითა და მხარდაჭერით. მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპს, რომელიც ჩინეთმა, ინდოეთმა და ბირმამ გამოაცხადეს, თქვა მან შემდეგ, იწონებს და მხარს უჭერს აზიის, აფრიკისა და ევროპის სულ მეტი და მეტი ქვეყანა. ეს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დღეს ჩვენს მეგობრულ შეხვედრაზე.

დასასრულ პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ რწმენა გამოთქვა, რომ მსოფლიოში მშვიდობის საქმე გაიმარჯვებს. მან წარმოთქვა მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და ყველა ქვეყნის ხალხთა მეგობრული თანამშრომლობის სადღეგრძელო.

მევიოლინეთა და პიანისტთა პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსი

მევიოლინეთა და პიანისტთა პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსი მოსკოვში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მუსიკოსთა ნამდვილი დიდი დღესასწაულია.

ამ დღეებში დამთავრდა კონკურსის პირველი ნაწილი — მევიოლინეთა კონკურსი, რომელიც არა მარტო თავისი პროგრამით იყო რთული, არამედ მონაწილეთა უმრავლესობის მაღალი ოსტატობის მბრივაც. აღსანიშნავია, რომ იმ ათი მუსიკოსიდან, რომლებმაც ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსზე მხოლოდ საპატიო დიპლომები და საპატიო სიგელები მიიღეს, შვიდი უკვე სხვადასხვა მუსიკალური კონკურსის ლაურეატია.

კონკურსის უიურიმ გაითვალისწინა მონაწილეთა მაღალნიჭიერება და ოსტატობა და ადრე დაწესებული რვა პრემიის გარდა მევიოლინეთა გარკვეულ ჯგუფს მიანიჭა პირველი და მეორე ხარისხის დიპლომები, ფულადი ჯილდოები და საპატიო სიგელები.

კონკურსზე პირველი პრემია და ოქროს მედალი მოიპოვა ვალერი კლიმოვმა (სსრკ), მეორე პრემია და ვერცხლის მედალი — ვიქტორ პიკაიზენმა (სსრკ), მესამე პრემია და ბრინჯაოს მედალი—შტეფან რუხამ (რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა).

კონცერტის ლაურეატებს შორის არიან მარკ ლუბოცკი (სსრკ) ვიქტორ ლიბერმანი (სსრკ), ვალენტინ უუკი (სსრკ), ჯოის ფლისლერი (აშშ) და ზარიუს შიხმურზაევა (სსრკ).

ამჟამად მოსკოვში მიმდინარეობს პიანისტთა კონკურსი.

შეხვედრა დეკადის მონაწილეებთან

მომდინარე წლის 9 აპრილს საქართველოს სსრ პროკურატურის თანამშრომლებმა სტუმრად მიიწვიეს საქართველოს სსრ ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილეები და გულთბილი შეხვედრა მოუწყეს მათ.

სტუმრებს შორის იყვნენ საქართველოს სსრ განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები რეჟისორი დ. ანთაძე და მხატვარი დ. თავაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ი. რუსინოვი და რუსთაველის სახელობის თეატრის ახალგაზრდა მსახიობი კ. მახარაძე.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ გ. ბიწაძემ.

დამსწრე საზოგადოებას დეკადაზე მიღებული შთაბეჭდილების შესახებ ესაუბრა საქართველოს სსრ განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე.

სიტყვები წარმოთქვეს ა. ხორავამ, დ. ანთაძემ და ი. რუსინოვმა.

დასასრულ, საქართველოს სსრ პროკურატურის მუშაკთა სახელით ვ. გოგუაძემ მადლობა გადაუხადა სტუმრებს საინტერესო შეხვედრისათვის.

თბილისის მეათასწუთასე გაზაფხული

ჯერისჯული სეზონის წინ

ლამაზი და თვალწარმტაცია შავიზღვისპირეთის მშვენება — ქალაქი ბათუმი, მისი ლარიგით სწორი, სუფთა ქუჩები, ნაირფერი მარადმწვანე სუბტროპიკული სამოსელი, თეთრი სახლები, მრავალი ღირსშესანიშნაობანი მეტად მომზიდველს ხდის ამ ზღვისპირა ქალაქს. ამით აიხსნება ის დიდი ლტოლვა, რასაც იჩენენ ბათუმისადმი ათასობით საბჭოთა და უცხოელი ტურისტები. საკმარისია ითქვას, რომ შარშან ქალაქს ტურისტული საგზურებით ეწვია 4 ათასამდე უცხოელი ტურისტი.

ამას წინათ ჩვენი ბათუმელი კორესპონდენტი ახალი ტურისტული სეზონისათვის მზადებასთან დაკავშირებით ესაუბრა საკავშირო საზოგადოების „ინტურისტის“ ბათუმის განყოფილების მმართველს ამხ. ნ. დოლიძეს, რომელმაც განაცხადა:

— წელს ბათუმში ველოდებით ბევრად მეტ უცხოელ ტურისტს. ვიდრე გასულ წელს. მარტო ტურისტული საგზურებით ბათუმს ეწევა უცხოელ ტურისტთა 75 ჯგუფი. ჩვენთან ტურისტული სეზონი დაიწყება მაისის პირველი რიცხვებიდან და დამთავრდება ოქტომბრის დამლევს.

ასობით ტურისტი, მეტწილად ჩეხები და გერმანელები, მიღებულ იქნება პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს საგზურებით. ისინი რამდენიმე დღით დაისვენებენ ბათუმისა და მწვანე კონცხის ტურისტთა ბაზებში. მწვანე კონცხის ტურისტთა ბაზაში შენდება ახალი საცხოვრებელი კორპუსი.

ახლა ჩვენ გაცხოველებით ვემზადებით სეზონისათვის და ყველაფერს ვაკეთებთ, რათა უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ ტურისტთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებანი. ძირითადად დამთავრებულია სასტუმრო „ინტურისტის“ რემონტი, წესრიგში მოყვანილია მისი საცხოვრებელი ფონდი, ჩატარებულია სამზარეულოსა და სანიტარული კვანძების რეკონსტრუქცია, სასტუმრო შევსებულია რბილი და მაგარი ინვენტარით.

გასაფრენად გამზადებული ხოხბის აზიდულ ფრთებს მოგვაგონებს თბილისის მიდამო. მას გაზაფხული ეახლა. ქედნისფერი ღრუბლებით გადაპენტილი ცა მზემ გაათბო, და ქალაქის მკერდი სიცოცხლის ეშხით აივსო. ნაზამთრი ფერი გადაიყარა ყეენის, ძეძვისა და მახათას გორებმა, თრიალეთის ქედის ტოტები, ვაუკაცის მკლავივით რომ შემოჭდობია თბილისის დასავლეთ მხარეს, მწვანით გადაიფერა.

ნუშისა და ატმის ყვავილებმა თბილისის ბაღჩა-ბაღები ნაირფერი გულხატულა პერანგებით შემოსა. მღვრიე წყლის ნაკადებმა აავსო მტკვარი, თოვლის ნაყურმა პატარა მდინარეები ვერა, წავკისი და ლოჭინიც გამოაცოცხლა.

თბილისს მეათასხუთასე გაზაფხული ესტუმრა!..

ბევრი მწარე ზამთარი, სუსხიანი დღეები უნახავს ძველთაძველ ქალაქს. ის ავბედი სუსხი ჯაღარასავით თავს მოვლებია ცოცხალ მოწმეებს — შურის ციხეს და ნეტების ტაძარს. ბოდალეთა, ბინანდელი, ბარამოთა, ერევანთა, [illegible] ტერფს გადაუთელავს თბილისის ბებერი მიწა.

ათასხუთასი ზამთარ-ზაფხული შერწყმია ერთიმეორეს, ფერფლად ქცევა და მკვდრეთით აღდგომა, მაგრამ სულ სხვა არის თბილისისათვის უკანასკნელი ათეული წლები. წლევანდელი საიუბილეო გაზაფხული. ეს წლები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, თბილისის განახლებისა და ბედნიერების, მთელი საქართველოს აყვავების წლები გახლავთ. უკანასკნელ სამ ათეულ წელს შეუძლია გადახწონოს თოთხმეტასუკუნენახევრის ყველაზე ბედნიერი და ნათელი დღეები.

...თბილისი თავისი არსებობის ათასხუთასი წლისთავის ზეიმს იხდის. ძველთაგანვე ასე ყოფილა: ადამიანი ადამიანს, ქალაქი ქალაქს საჩუქარს მიუძღვნის ხოლმე დაბადების თუ დაარსების დღის აღსანიშნავად. ახლაც არ უღალატეს ამ ტრადიციას მახარაძის რაიონის მშრომელებმა და მათ ამ გაზაფხულზე თბილისს ძვირფასი საიუბილეო საჩუქრები — მარად მწვანე მუხები, ჭანდრები, მთის ნაძვი, კედარი, პალმები, ურთხელები, კვიპაროსები და სხვა მცენარეები გამოუგზავნეს.

ზღვისპირეთის მოციქულებმა დაამშვენეს თბილისის მეათასხუთასე გაზაფხული, დაატკბეს დედაქალაქის მშრომელთა თვალი, კოლხური ელფერი მისცეს ქუჩებსა და მოედნებს.

მწვანე ნარგავების ფართობი მომავალში თბილისის თვითეულ მცხოვრებზე თორმეტ კვადრატულ მეტრამდე გაიზრდება. ყვავილნარებით დამშვენდება პარკები, სკვერები და ქუჩების მწვანე ზოლები.

საქართველოს მშრომელები, თბილისელები კვლავ იზრუნებენ თავიანთი დედაქალაქის კეთილმოწყობისა და ხილამაზისათვის.

გ. მარუაშვილი.



ბათუმი. სასტუმრო „ინტურისტი“. ფოტო ნ. ანასტასიევისა.

სპორტის ამგეგი

მატჩ-რევანში

როგორც ვიუწყებოდით, მსოფლიო პირველობაზე საბჭოთა გროსმაისტერების ვ. სმისლოვისა და მ. ბოტვინიკის საკადრაკო მატჩ-რევანშის მე-15 პარტია გადაიღო ექს-ჩემპიონისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

გუშინ მოსკოვის ცენტრალურ საკადრაკო კლუბში მოეწყო გადადებული პარტიის დამთავრება. მ. ბოტვინიკმა გადააცილა საკონტროლო დროს და წაგება ჩაეთვალა.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 9:6 მ. ბოტვინიკის სასარგებლოდ. დღეს გაიმართება მე-16 პარტია.

სსრ კავშირის ჩემპიონები კრივში

მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში დამთავრდა სსრ კავშირის 1958 წლის პირველობის გათამაშება კრივში.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონის წოდება მოიპოვეს: უმჩატეს წონაში — ვ. სტოლნიკოვმა (ლენინგრადი), მჩატე წონაში — ევროპის ჩემპიონმა ო. გრიგორიევმა (მოსკოვი), ქვემსუბუქ წონაში — XVI ოლიმპიური ასპარეზობისა და მსოფლიო ჩემპიონმა ვ. საფრონოვმა (მოსკოვის ოლქი), მსუბუქ წონაში — ნ. სმირნოვმა (მოსკოვი), პირველ ქვესაშუალო წონაში — XVI ოლიმპიური ასპარეზობის, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ვ. ენგიბარიანმა (ერევანი), მეორე ქვესაშუალო წონაში — გ. ბოიარინცევმა (მოსკოვის ოლქი), პირველ საშუალო წონაში — ვ. ვასინმა (ლენინგრადი), მეორე საშუალო წონაში — XVI ოლიმპიური ასპარეზობისა და მსოფლიო ჩემპიონმა გ. შატკოვმა (ლენინგრადი), ქვემძიმე წონაში — ა. ლიასტმა (მოსკოვის ოლქი), მძიმე წონაში — ევროპის ჩემპიონმა ა. აბრამოვმა (მოსკოვი).

21 მატჩის შემდეგ

სსრ კავშირის XX საიუბილეო ჩემპიონატი ფეხბურთში შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდება. განვლილ 20 დღეში გაიმართა 21 მატჩი, 6 გუნდს ჩატარებული აქვს ოთხ-ოთხი თამაში, დანარჩენებს — სამ-სამი.

დედაქალაქის „სპარტაკმა“ თბილისის „დინამოსთან“ გამარჯვებით მეტად საქირო ორი ქულა ჩაიწერა გათამაშების ცხრილში და ლიდერი გახდა. სპარტაკელებს დღეისათვის 6 ქულა აქვთ ბურთების შეფარდებით 10:4.

საინტერესო იყო ლოკომოტიველთა მორიგი მატჩი კიევში ადგილობრივ დინამოელებთან. მოწინააღმდეგენი შეჯიბრების ფრედ (1:1) დამთავრებით დაკმაყოფილდნენ. რკინიგზელებს 5 ქულა აქვთ და ბურთების უკეთესი შეფარდებით მეორე ადგილზე იმყოფებიან.

ხუთ-ხუთი ქულა აქვთ აგრეთვე მოსკოვისა და კიევის „დინამოს“, დედაქალაქის „ტორპედოს“, რომლებსაც თანმიმდევრულად მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილები უჭირავთ. მოსკოვის დინამოელებმა 10 აპრილს დაამარცხეს „ადმირალტეეცი“ ანგარიშით 3 : 1.

მეექვსე და მეშვიდე ადგილებზე (ოთხ-ოთხი ქულა) არიან ცსკა მო და „შახტიორი“. არმიელებმა მოუგეს (4:0) „მოლდოვას“, სტალინოელმა ფეხბურთელებმა — „ზენიტს“ 1:0. მერვე ადგილზეა „კრილია სოვეტოვ“ (3 ქულა), მეცხრეზე — თბილისის „დინამო“ (2 ქულა), მეათეზე — „ზენიტი“ (2 ქულა), მეთერთმეტეზე — „მოლდოვა“ (1 ქულა), მეთორმეტეზე — „ადმირალტეეცი“ (0 ქულა).

რედაქტორი პ. რატიანი.

გაიხსნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი

პრაღა, 10 აპრილი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, დღეს პრაღაში გაიხსნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, რომელზეც განიხილავენ ამ სამი სახელმწიფოსათვის საინტერესო საერთო საკითხებს.

მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ლოტარ ბოლეი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი მარიან ნაშკოვსკი და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ვაცლავ დავიდი.

საბჭოთა კავშირში შეიქმნა საზოგადოება „სსრ კავშირი—დიდი ბრიტანეთი“

საინიციატივო ჯგუფმა 8 აპრილს მოსკოვში მოიწვია საორგანიზაციო კრება, რომელიც მიეძღვნა „სსრ კავშირი — დიდი ბრიტანეთის“ საზოგადოების შექმნას საბჭოთა კავშირში.

იდეა სსრ კავშირში საზოგადოების დაარსებისა, რომელიც ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის ხალხთა დაახლოებას, დაებადა სსრ კავშირის ბევრ საზოგადო მოღვაწეს, ქარხნებისა და ფაბრიკების წარმომადგენლებს, კულტურის მუშაკებს. ინიციატორთა შორის იყვნენ სსრ კავშირის დიდი თეატრი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემია, ურალის სახალხო მომღერალთა გუნდი და სხვები. მათ შეუერთეს ხმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა მუსხელიშვილმა და სხვ.

უცხო ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის შენობაში ამ დღეს მოვიდნენ თვალსაჩინო მეცნიერები, მწერლები, მუშები, სტუდენტი ახალგაზრდობა.

დამსწრეთა შორის იყვნენ სსრ კავშირში დიდი ბრიტანეთის საელჩოს წარმომადგენლები.

მოხსენება გააკეთა მწერალმა ა. ა. სურკოვმა.

კამათის მონაწილეებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი იმას, რომ საბჭოთა კავშირში შეიქმნას საზოგადოება „სსრ კავშირი—დიდი ბრიტანეთი“.

ტაშის გრიალში კრების მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება დაარსდეს სსრ კავშირში ახალი საზოგადოება და აირჩიეს გამგეობა 83 კაცის შემადგენლობით. მიღებულ იქნა აგრეთვე მიმართვა დიდი ბრიტანეთის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებისადმი, ყველა მოქალაქისადმი, რომლებიც მხარს უჭერენ დიდ ბრიტანეთსა და სსრ კავშირს შორის მეგობრობასა და თანამშრომლობას. (საკდესი).

გაეროთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის მე-13 სესია

ჟენევა, 10 აპრილი. (საკდესი). ჟენევაში ერთა სასახლეში გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის მე-13 სესია, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ევროპის 29 ქვეყნისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციები.

სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჟენევაში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ვ. ზახაროვი, უკრაინის სსრ დელეგაცია უკრაინის სსრ ვაჭრობის მინისტრის გ. ლ. სახნოვსკის მეთაურობით და ბელორუსიის სსრ დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ბელორუსიის სსრ ფინანსთა მინისტრი ფ. ლ. კოხნოვი.

ევროპის ეკონომიური კომისიის სესია გაიხსნა 9 აპრილს და ორ კვირას გაგრძელდება. მე-13 სესიის წინასწარ დღის წესრიგში შეტანილია საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ევროპის ქვეყნების ეკონომიურ თანამშრომლობასთან, ევროპის 1957 წლის ეკონომიური მდგომარეობის მიმოხილვის განხილვა, რომელიც ევროპის ეკონომიური კომისიის სამდივნომ მოამზადა, ეკონომიკის სხვადასხვა დარგში ევროპის ეკონომიური კომისიის სპეციალური კომიტეტების მუშაობის მოხსენებათა განხილვა, საკითხი იმ წინადადებათა საფუძველზე ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში თანამშრომლობის შესახებ, რომლებიც სსრ კავშირის დელეგაციამ ევროპის ეკონომიური კომისიის წინა მე-12 სესიაზე შეიტანა, ევროპის ეკონომიური კომისიის 1958-59 წლების მუშაობის პროგრამის მიღება და სხვა საკითხები.

ევროპის ეკონომიური კომისიის მე-13 სესია გახსნა წინა მე-12 სესიის თავმჯდომარემ პროფესორმა ოსკარ ლანგემ (ბოლონეთი).

ბუდაპეშტი

ბუდაპეშტი, 10 აპრილი. (საკდესი). ბუდაპეშტიდან ბერლინის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მოთხოვნი ი მიიღო გადაწყვეტილება დასავლეთ გერმანიის არმიის ატომური და რაკეტული იარაღით აღჭურვის შესახებ. ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა კამათი რამდენიმე დღის განმავლობაში, რომლის დროს მთავრობის კოალიციის წარმომადგენლებმა, განსაკუთრებით თავდაცვის მინისტრმა შტრაუსმა. აგრეთვე თვითონ ადენაუერმა და დასავლეთ გერმანიის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებმა, წარმოთქვეს აგრესიული მუქარით აღსავსე სიტყვები, რომლებიც ჰიტლერისა და გებელსის ხანას მოგვაგონებენ...

ბუნდესტაგის გადაწყვეტილება მიღებულია იმ მომენტში, როცა საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ღონისძიებანი მიმართულია იქითკენ, რომ შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა, როცა გაიაროს ალი ენერგიულად აცხადებს პრეტესტს ამ საშიში გადაწყვეტილების წინ